დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
შ.პ.ს საზოგადოებრივ კოლეჯ „ფანასკერტელში“
პროგრამის დამატებაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი **მადონა გოგობერიშვილი (თავმჯდომარე)** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი **: გიორგი ბერაია (წევრი)**

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შპს**
საიდენტიფიკაციო კოდი: --202066405
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის N665 (31.07.2019წლის) ბრძანების საფუძველზე 2019 წლის 19 და 20 აგვისტოს შ.პ.ს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძნებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

დაწესებულება განთავსებულია ქ. ბილისში, გ. ზაზიშვილის ქ. N1 - ში, საერთო ფართით 507კვ.მ.

2019 წლის 14 ივნისს ავტორიზაციის საბჭოს N 125 გადაწყვეტილებით აღნიშნულ კოლეჯს მიეცა 5 (ხუთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება: საფინანსო სერვისები - 40 პროფესიული სტუდენტი, ინფორმაციის ტექნოლოგია - 20 პროფესიული სტუდენტი, საოფისე საქმე - 40 პროფესიული სტუდენტი, აღმზრდელი - 40 პროფესიული სტუდენტი და ფარმაცია (სააფთიაქო) - 60 პროფესიული სტუდენტი (სულ 200 პროფესიული სტუდენტი).

ამ ეტაპზე, დამატების მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ ერთი პროფესიული საგანმანათლებო პროგრამა „საექთნო განათლება“. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის მიმოხილვის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ მომზადდა წინასწარი დასკვნა და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან; წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან აფილირებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება; პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; ვებ-გვერდის, კატალოგის და მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის გადამოწმება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გაცნობა და ანალიზი; შენობის დათვალიერება, მატერიალური სტანდარტის და მისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ინტერვიურება და პრაქტიკის ობიექტებზე მოდულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; კოლეჯის პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრება.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტების მიერ შეჯამდა ვიზიტის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო დაწესებულებას ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	**მუხლი 6**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

	განათლების აღიარების წესები.			
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	**მუხლი 8 /**		

■ □

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

	შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**პუნქტი გ)**		

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება განვიხილოთ საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის სამწლიანი თანამშრომლობა გერმანულ კომპანიასთან „Medijobline“, რომელიც არის გერმანიაში დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაცია.

აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნებისათვის გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებას, დასაქმებისთვის შესაფერისი კლინიკების მოძიება/შეთავაზებას და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

გერმანიაში, დიპლომის (კვალიფიკაციის) აღიარებისას გამოვლენილი საგნებისა და შესაბამისი საათების ნაკლებობის შემთხვევაში კოლეჯი ფანასკერტელი უზრუნველყოფს მათ შევსებას მოკლევადიანი, საჭიროებაზე ორიენტირებული, სასერთიფიკატო თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსებით, რომელსაც აღიარებს გერმანული მხარე. სტუდენტები ასევე ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაში, რაც ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტები გადიან გასაუბრებას დამსაქმებელი კლინიკების წარმომადგენლებთან, დებენ კონტრაქტებს და კონტრაქტში მითითებული ვადის შესაბამისად სამუშაო ვიზით მიემგზავრებიან გერმანიაში.

დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული პროექტის გაღრმავება იგეგმება სწორედ ახალი საგანმანათლებლო პროგრამით - „საექთნო განათლება“. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის 180 კრედიტიანი და თითქმის თავსებადია ევროპულ სტანდარტებთან და მეტად საინტერესოა გერმანული მხარისთვის. ამავდროულად, გამომდინარე საქართველოში ექთნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დეფიციტიდან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გერმანელ პარტნიორებთან თანამშრომლობით სამუშაო გამოცდილების მიღება ერთგვარად ხელს შეუწყობს ქართველ სტუდენტებს მაღალკვალიფიციურ ექთნებად ჩამოყალიბებაში.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- ✓ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მე-14 მუხლში დაწესებულებმ გაწეროს პროგრამის შემუშავების სამართებლივი საფუძვლები;
- ✓ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 მუხლში დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს ჩანაწერი - „ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი“;
- ✓ სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყოს თუ რამდენ ასტრონომიულ საათს უდრის ერთი პროფესიული კრედიტი;
- ✓ სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს წინაპირობებიან მოდულებზე დამატებითი შეფასების ვადები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

- ✓ სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს ერთიანი მიდგომა სწავლის შედეგების დადასტურების პროცენტული თანაფარდობისადმი (პროფესიული მოდულებისთვის თითოეული სწავლის შედეგის დასადასტურებლად საჭიროა 75 %-ი, ხოლო ზოგად მოდულებში მითითებულია 51%-იანი ზღვარი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

VII. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მისიაა დავძლიოთ გამოწვევები განვითარების გზაზე და დავიმკვიდროთ წამყვანი პოზიცია საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, როგორც მდგრადმა და ინოვაციურმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უზრუნველვყოთ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება. კოლეჯი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას, ასევე ხელს უწყობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს. რომლებიც ერთის მხრივ ეყრდნობა ეროვნულ ცნობიერებას და, მეორე მხრივ, ორიენტირებულია პროფესიული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ (ბრძ. N18, 15 ივლისი, 2019 წელი). „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების შესახებ, დაწესებულების ემბლემას და დასახელებას, პროგრამის დასახელებას და საკონტაქტო ინფორმაციას.
<u>საგანმანათლებლო პროგრამის მე-14 მუხლში დაწესებულებას გაწერილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა პროგრამის შემუშავების სამართებლივი საფუძვლები ყოფილიყო მითითებული.</u>
<u>საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 მუხლში არის ჩანაწერი „სარეგისტრაციო ნომერი“ და მითითებულია ჩარჩო დოკუმენრის სარეგისტრაციო ნომერი, სასურველი იქნება ჩანაწერის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა.</u>
საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მოცულობა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 180 კრედიტი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 210 კრედიტი), სტრუქტურა, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების მიდგომები. პროგრამაში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასების მიმართულებები შესაბამისია შესრულების კრიტერიუმებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამაში მითითებულია, რომ განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში <u>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, თუმცა ამ შემთხვევაში გაუგებარია როგორ მოხდება წინაპირობების არსებობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის დაშვება წინა მოდულების შედეგების დადასტურების გარეშე.</u> კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მოქმედებს ერთკვირიანი ვადა დამატებითი გამოცდისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

რაც დასტურდება პროგრამის სასწავლო გეგმით, სადაც მოდულებს შორის გათვალისწინებულია ერთკვირიანი შუალედი დამატებითი გამოცდისათვის.

პროგრამაში მითითებულია, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია: რომ <u>თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით, თუმცა ზოგად მოდულებში შეფასების მიმართულებაში მითითებულია 51%-იანი ზღვარი.</u>

პროგრამაში მითითებულია, რომ კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა, თუმცა <u>საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი და ჩატარების პროცედურები არც პროგრამაშია აღწერილი და არც სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.</u> დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოადგინა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი (ბრძ. N21, 19/08/2019), სადაც სრულად არის გაწერილი საკვალიფიაკაციო გამოცდის განხორციელების პროცედურები.

ასევე პროგრამაში დამატებით განსაზღვრულია კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული საქმიანობის კომპეტენცია, კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობები, კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა და პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები.

პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლება ხორციელდება კურაციული სისტემით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე მოდულების სწავლება ლოგიკურად არის დალაგებული და თანმიმდევრულია მოდულებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალის ნუსხა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

1. კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ექსპერიმენტალური და კლინიკური ცენტრი-12.07.2019;
2. ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი-15.07.2019;
3. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი-08.07.2019;
4. საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი-01.07.2019

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განხილვის შედეგად ირკვევა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, სტუდენტის არადსციპლინური პასუხისმგებელობის დასმის უფლებამოსილება, წახალისების და სხვა საკითხების დასმის უფლებამოსილება, განმახორციელებელი პირისა და სტუდენტთა თანაფარდობა 1/7, პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხები. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, სადაც გაწერილია კლინიკური სწავლების პროცესში ჩართული პირების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები, პასუხისმგებლობები და უფლება-მოვალეობები.

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში შეირჩა ორი პრაქტიკის ობიექტი, რომლებიც სრულად მოიცავდნენ დაწესებულების სასწავლო ბაზის გარეთ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი მოდულების შედეგებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის მზაობის შემოწმება და გასაუბრება პროგრამის კლინიკურ სასწავლო მოდულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან - მთავარ მედდებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პირები კარგად ერკვევიან მოდულური პროგრამის სტრუქტურაში და აქვთ ნათელი წარმოდგენა პრქტიკის განხორციელების პირობებზე. ასევე კარგად იციან პროგრამის განმახორციელებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ და ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ კლინიკების ექთნების უმრავლესობა ფლობს კომპიუტერულ საოფისე პროგრამებს და ინგლისურ ენას A1 დონეზე. ამავე დროს კოლეჯიც და კლინიკაც იღებს პასუხისმგებლობას, საჭიროების შემთხვევაში გადაამზადოს კვალიფიციური კადრები ზემოთხსენებულ ზოგად კომპეტენციებში მათი დოკუმენტალურად დადასტურების მიზნით. კლინიკები ასევე მზად არიან კოლეჯთან ერთად დაგეგმონ და განახორციელონ კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირების მომზადება კლინიკური პრაქტიკის მოდულების განხორციელებასა და სტუდენტთა შეფასების სისტემაში.
გასაუბრების შედეგად ასევე გაირკვა, რომ ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალს, რომელიც მრავალპროფილურია 10 განყოფილებაში ერთდროულად შეუძლია 70 სტუდენტის მიღება, ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს ერთდოულად 80 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 15 ივლისის N18 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით და დანართებით;
2. დოკუმენტით: „შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. (ბრძ.N21, 19/08/2019);

3. ხელშეკრულებებით:

- ✓ კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ექსპერიმენტალურ და კლინიკურ ცენტრთან -12.07.2019;
- ✓ ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალთან-15.07.2019;
- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან-08.07.2019;
- ✓ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან-01.07.2019

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე www.fanaskerteli.edu.ge და მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ: მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, სწავლის შედეგების მიღწევის, პროფესიული სტუდენტისთვის კრედიტების მინიჭებისა და შეფასების წესს.

დაწესებულებას კატალოგში შტანილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; მიზანი; დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა; სწავლის შედეგები). მიმდინარეობს კატალოგის ყოველწლიური განახლება. ვებ გვერდზე არის არქივი, სადაც გამოქვეყნებულია კოლეჯის ბოლო სამი წლის განახლებული კატალოგები. კატალოგში ასევე მოცემულია ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთაც დაწესებულება ახორციელებს მილევად რეჟიმში და ინფორმაცია სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების შესახებ. კატალოში შეტანილია ასევე ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების კატალოგით;
2. ვებგვერდით www.fanaskerteli.edu.ge

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ ავტორიზიის მისაღებად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში.

დაწესებულების ვებ.გვერდზე გამოქვეყნებულია დოკუმენტი „პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი", სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების,შეწყვეტის და მობილობის წესები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი 34 (განათლების აღიარება) და მუხლი 35 (კვალიფიკაციის მინიჭება) გაწერილია მიღებული განათლების აღიარების პროცედურები.

დასტურდება :

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, (მუხლი 23; 31; 32; 33; 34) - დირექტორის ბრძანება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების დამტკიცების შესახებ (ბრძ. N38, 2018 წლის 22 ნოემბერი).
2. ვებ-გვერდით - www.fanaskerteli.edu.ge.
3. პროფესიული სტუდენტის გზამკვლევით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე - www.fanaskerteli.edu.ge

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (მიღებული სწავლის შედეგების აღიარებით), ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს არ უნდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება, კოლეჯი ვალდებულებას იღებს დაასრულებინოს მას სწავლება მილევად რეჟიმში.
კოლეჯს ამ მიზნებისთვის გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

დასტურდება:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 18; 19);
2. მემორანდუმით კერძო კოლეჯების ასოციაციასთან;
3. ვებ-გვერდით - www.fanaskerteli.edu.ge.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი - დაგეგმვა; განხორციელება; შეფასება; გადახედვა/გაუმჯობესება. დაწესებულებაში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის გზამკვლევი, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ელექტრონული კითხვარები, რომლის საფუძველზეც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას პროგრამის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სწავლების ხარისხთან დაკავშირებით.

დასტურდება :

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით - (ბრძ. N43, 2018 წლის 30 ნოემბერი);
2. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის გზამკვლევით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე - www.fanaskerteli.edu.ge.
3. ონლაინ კითხვარებით;
4. 2017-2018 წწ. ანგარიშით;
5. ვებ-გვერდით - www.fanaskerteli.edu.ge
6. **ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით.**

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

დაწესებულება განთავსებულია მისამართზე: თბილისი, გ. ზაზიაშვილის ქ. N1, პირველ სართულზე ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე - 507 კვ.მ, რომელიც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ფიზიკურ პირებთან [redacted] 2018 წლის 2 აგვისტოს 10 წლის ვადით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	გ. ზაზიაშვილის ქ. N1,	507 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - (საკადასტრო კოდი: [redacted] - სართული 1 /507 კვ.მ.; განცხადების რეგისტრაციის ნომერი [redacted] - 20/08/2018; მომზადების თარიღი: 23/08/2018;
- ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: [redacted], 13/12/2018);
- აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული პროგრამის თეორიული სწავლებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო - სასწავლო აუდიტორია N4, ფართით 57,4 კვ.მ. და ორი B გარემო - ფართით 23-23 კვ.მ. თითოეულ მათგანში არის 10-10 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დაზუსტდა, რომ დაწესებულება აპირებს სამი წლის განმავლობაში 90 პროფესიული სტუდენტის, ანუ ყოველწლიურად 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. გამომდინარე კოლეჯის მიერ გამოყოფილი N4 სასწავლო აუდიტორიის გამტარუნარიანობიდან, 30 სტუდენტის ერთჯერადად მიღება და სწავლება შესაძლებელია. რაც შეეხება B გარემოს, ორივე აუდიტორიაში ერთდროულად მხოლოდ 20 პროფესიული სტუდენტის სწავლების საშუალებაა, რაც გარკვეულწილად ზღუდავს 30 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღების შესაძლებლობას, <u>თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა B გარემოს გამტარუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცხრილი, რომლის მიხედვით 2 კომპიუტერული კლასის დატვირთვა წელიწადში არის 45 760 სთ, ხოლო რეალური დატვირთვა პროგრამების მიხედვით შეადგენს 44 026 სთ. (მათ შორის 1 350 სთ საექთნო განათლებისთვის). დაწესებულების ხელმძღვანელის აზრით, აღნიშნული გამტარიანობის გეგმის მიხედვით, ორ B გარემოს არამარტო შეუძლია მოთხოვნილი სტუდენტების ათვისება არამედ კიდევ აუთვისებელი რჩება 1 734 საათი,</u> მით უფრო, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდულის განხორციელდება იგეგმება 8 კვირის განმავლობაში და სულ განსახორციელებელი საათების რაოდენობა ამ 8 კვირის განმავლობაში შეადგენს 45 საათს (მათ შორის ბოლო კვირა არის შეფასება 10 საათი). შესაბამისად, 30 სტუდენტის სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალური ცხრილით - ერთდროულად 2 კომპიუტერულ კლასში ჩატარდეს მეცადინეობა და დამატებით სხვა დღეებში (ან იმავე დღეებში განსხვავებულ დროს) ჩატარდეს 10 სტუდენტისთვის. ამისთვის მოხდება პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმება ინდივიდუალურ სასწავლო გრაფიკზე.

რაც შეეხება სამწლიანი პროგრამის ფარგლებში მეორე მიღებისთვის ჯგუფების დამთხვევას, კოლეჯის ხელმძღვანელობის განმარტებით A გარემო დატვირთული იქნება ორ ცვლაში.

დაწესებულების ადმინისტრაციული და სასწავლო სივრცე სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით, კეთილმოწყობილი სველი წერტილებით, სარეკრეაციო ზონით პროფესიული სტუდენტებისთვის, რაც შესაბამისობაშია სტანდარტთან. ადმინისტრაციული პერსონალისთვის გამოყოფილია 2 ოთახი, ხოლო პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)

განათლების მასწავლებლებისთვის გამოყოფილია ცალკე ერთი ოთახი, სადაც არის ინტენეტში ჩართული კომპიუტერი.

კომპიუტერულ კლასებში (2 ერთეული) განთავსებულია 10-10 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და პროექტორი.

რაც შეეხება სასწავლო აუდიტორიას, რომელიც გამიზნულია თეორიული სწავლებისთვის, სრულად შეესაბამება აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებას. მასში განთავსებულია 15 სამადგილიანი სასწავლო მერხი, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, თვალსაჩინოებები, კომპიუტერი(ლეპტოპი) და ეკრანი ინტერაქტიული სწავლებისთვის.
დაწესებულებას აქვს ერთ სივრცეში ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი ფართით - 52 კვ.მ, რომელიც სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით(კომპიუტერებით - 3 ერთეული და კომბაინით).

დასტურდება:

1. უძრავი ქონების ფლობის დოკუმენტაციით;
2. ტექნიკური არჭურვილობის ჩამონათვალით;
3. სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ასევე ცალკე სველი წერტილი სსსმ და შშმ პირებისთვის. ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები (დაწესებულების მთელ ფართზე არის ცენტრალური გათბობა).

დასტურდება:

1. წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
2. ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების ბიბლიოთეკაში გადამოწმებული სასწავლო ლიტერატურა (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება მოდულებში მითითებულ ლიტერატურას; დაწესებულებაში არის წიგნების ელექტრონული კატალოგი (http://fanaskerteli.edu.ge/biblio/opac/index.php). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ჩატვირთულია დაწესებულების ბიბლიოთეკის, ასევე ამ პროგრამების განხორციელებისთვის განკუთვნილ სასწავლო აუდიტორიებში და ასევე ჩაწერილია CD დისკებზე. გატარებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისათვის.
ბიბლიოთეკა პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგია: ორშაბათი-პარასკევი 10.00-18.00, შაბათი - 11.00-16.00. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები: 2 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, კომბაინი (ასლგადამღები, პრინტერი). დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გაკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე.

დასტურდება:
1. წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნით;
2. არსებული წიგნადი ფონდის შესყიდვის, ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
3. ელექტრონული კატალოგით;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით/ინსტრუქციით (დირ. ბრძ, N41, 2018 წლის 28 ნოემბერი);
5. CD დისკებით;
6. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულებაში ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 6 კომპიუტერი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მართვაში. სასწავლო აუდიტორიები ძირითადად აღჭურვილია კომპიუტერებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, მონიტორებით, პრინტერებით. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ხდება უწყვეტი ინტერნეტის მიწოდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

კოლეჯის ვებ-გვერდი www.fanaskerteli.edu.ge ასრულებს როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო საშუალებას, პროფესიული სტუდენტები იგებენ სიახლეებს, ეცნობიან დაწესებულებაში დაგეგმილ ღონისძიებებს, განცხადებებს. ვებ-გვერდზე პროფესიულ სტუდენტებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგთან, შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საჭირო სახელმძღვანელოს ან სხვა ლიტერატურის შესახებ.

შესაძლებელია ასევე ვებ-გვერდიდან ფეისბუკზე გადასვლა, რაც თავისთავად წარმოადგენს ინტერაქტიურ საკომუნიკაციო საშუალებას, რომელიც იძლევა პროფესიულ სტუდენტებთან უკუკავშირის საშუალებას.

დასტურდება :

- ვებ-გვერდით /www.fanaskerteli.edu.ge/;
- ხელშეკრულებით ინტერნეტ მომსახურებაზე;
- ხელშეკრულებით დომეინის სარგებლობის შესახებ;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვა მიმდინარეობს მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა საფუძველზე. დაწესებულებამ წარმოადგინა „ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი“, „მემორანდუმების და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი“, „ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი (პერსონალი), შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები, რომელებიც შედგენილია წლების მიხედვით, არის დანომრილი და ზონარგაყრილი. შესაბამისად, დაწესებულებაში შიდა სამართლებრივი აქტების გამოცემა, აღრიცხვა, შესრულების კონტროლი წარმოებს დაწესებულების საქმისწარმოების წესის შესაბამისად როგორც მატერიალურად სპეციალურ ჟურნალებში, ასევე ელექტრონულად ინახება საქმისწარმოების მენეჯერთან.

დასტურდება:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესით - ბრძ. N38, 2018 წლის 22 ნოემბერი);
2. გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალით;
3. შემოსული კორესპონდენციით სარეგისტრაციო ჟურნალით;
4. ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალით;
5. ხელშეკრულებების/მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალებით;
6. ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
<u>ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;</u>
დაწესებულებაში არსებობს პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის ყველა პირობა, აღჭურვილი შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით, რომელიც განთავსებულია დაწესებულებაში 4 ადგილას - შესასვლელთან, საევაკუაციო გასასვლელთან, ასევე ორივე დერეფნის უჯრედში, მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ინფორმაცია გაზიარებულია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, დაცვის თანამშრომელი ვალდებულია დაუკავშირდეს შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.).

<u>ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;</u>

დაწესებულებაში ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას (3 ადგილას), ასევე ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება, შენობას გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი.

<u>გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;</u>

დაწესებულებას აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ასევე დაწესებულებაში არის მედიკამენტები, რომელიც ვარგისია გამოყენებისათვის. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დანიშნულია სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი - სამედიცინო კაბინეტის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში პირველად გადაუდებელ დახმარებას.

<u>დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.</u>

დაწესებულების დაცვის თანამშრომელი მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, რომელიც დროულად ახდენს რეაგირებას წესრიგის დარღვევებზე და უზრუნველყოფს დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვას. კოლეჯი აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე. დაწესებულებას აქვს შენობის მთელ პერიმეტრზე (შიდა და გარე) დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები.

დასტურდება:

1. სამედიცინო დახმარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით, რომელიც გაწერილია დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 45, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვა);
2. ევაკუაციის გეგმით (ბრძ. N44, 2018 წლის 5 დეკემბერი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

3. სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის შრომითი ხელშეკრულებით;
4. დაცვის თანამშრომლის დანიშვნის აქტით;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ასეთ პირებს შეუძლიათ შენობაში თავისუფალი ორიენტაცია და გადაადგილება, კიბეზე განთავსებულია პანდუსი, სველი წერტილები მოწყობილია შესაბამისი ინვენტარით.
დაწესებულება განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, სადაც შესაძლებელია მოხვედრა კიბის საშუალებით, კიბეზე განთავსებულია პანდუსი. ვინაიდან დაწესებულება ერთ სართულზე ფუნქციონირებს, სსსმ და შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაუბრკოლებლად გადაადგილდეს დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, თავისუფლად მივიდნენ სასწავლო აუდიტორიებთან, კომპიუტერის კლასებში, ბიბლიოთეკაში, ასევე სველ წერტილთან, კოლეჯის სამედიცინო კაბინეტის უფროსი, ასეთი პროფესიული სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად შეისწავლის მათ სამედიცინო ისტორიას, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას ინდივიდუალურად მიუდგეს თითოეულს საჭიროების მიხედვით.
დასტურდება:
1. ვიზუალური დათვალიერებით.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ვებ-გვერდი - www.fanaskerteli.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება:
1. ვებ-გვერდის - www.fanaskerteli.edu.ge დათვალიერებით;
2. დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით.შეფასება:

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018-1025 წლის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელშიც გაწერილია ამოცანები წლების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები, ასევე 2018-2019 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია ამოცანები, აქტივობები თვეების მიხედვით, რესურსები, ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და შემსრულებლები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებულ მიზნებთან და ორიენტირებულია მათ შესრულებაზე.

დასტურდება:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმით, (ბრძ. N42, 2018 წლის 29 ნოემბერი);
2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმებით (ბრძ. N42, 2018 წლის 29 ნოემბერი).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალში (დანართი N7), დაწესებულების მიერ პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ გადმოგზავნილი ინფორმაცით პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.
დადაწესებულებაში არის 12 ადმინისტრაციული პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მრჩეველი, ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მთავარი სპეციალისტი, საქმისწარმოებისა და რეესტრის წარმოების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული დაგეგმარების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სამეურნეო საქმიანობის, დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი, სამედიცინო კაბინეტის უფროსი, დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი. განსაზღვრულია პერსონალის პოზიციების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან, სამუშაო აღწერილობებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასტურდება :

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურით (ბრძ. N38, 2018 წლის 22 ნოემბერი);
2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით (ბრძ. N43, 2018 წლის 30 ნოემბერი);
3. პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნის ბრძანებებით/შრომითი ხელშეკრულებებით;
4. პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაწესებულებას ჰყავს თეორიული კომპონენტის განმახორციელებელი 21 მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება მუხლი 46)
რაც შეეხება კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრულია სასწავლებლის პროგრამით და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, თუმცა არ არის განსაზღვრული კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელებაში ჩართული პირების ვინაობა, არის მხოლოდ ჩანაწერი, რომ „სასწავლო პროცესი ხორციელდება კლინიკური სწავლების ობიექტზე“ და კლინიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

მოდულის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა სამედიცინო დაწესებულების მიერ“. პრაქტიკის ობიექტებზე განხორციელებული ვიზიტით და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კლინიკური სწავლების მოდულებისთვის პერსონალის შერჩევის საკითხები და მათი ვალდებულებები სრულიათ გააზრებული აქვთ პასუხისმგებელ პირებს და შეთანხმებული აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის ყველა დეტალი. (იხ. ქვესტანდარტი 1.1.) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

დასტურდება:

1. საგანმანათლებლო პროგრამის/ განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
2. მომსახურების ხელშეკრულებით პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც გაწერილია დაწესბულების საგანმანაათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში (მუხლი 46; 48). მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხელშეკრულებებს თან ახლავს შეთანხმება - ნებართვა პირადი ინფორმაციის გავრცელების შესახებ.

დასტურდება:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (ბრძ. N38, 2018 წლის 22 ნოემბერი);
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომსახურების ხელშეკრულებებით;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
-- ------

(ქალაქი, წელი)

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა მაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საექთნო განათლება	მეხუთე დონე/საფეხური	ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554	180	210	ქართული	თბილისი, გ. ზაზიშვილის 1	0	90

IX. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 10.09.2019.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

-- ------

(ქალაქი, წელი)